საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

კავსაძე იმერ დავითის ძე



ი. კავსაძე

კავსაძე იმერ დავითის ძე (დ. 16. VI. 1937, თბილისი), ოპერის მომღერალი (ლირიკული ტენორი). საქართვ. სახ. არტისტი (1990). 1960 დაამთავრა თბილ. სახელმწ. კონსერვატორია (პედ. ა. აგლაძეჩიჯავაძე, ვოკალი). კონსერვატორიაში სწავლის დროს მონაწილეობა მიიღო სტუდენტურ დადგმებში (ზ. ფალიაშვილის "აბესალომ და ეთერი", ჯ. ვერდის "ტრავიატა", ს. რახმანინოვის "ალეკო"). 1960–64 იყო თბილ. ზ. ფალიაშვილის სახ. ოპერისა და ბალეტის თეატრის სოლისტი. 1964–71 გორკის (ახლანდ. ნიჟნინოვგოროდის), 1971–72 ტაჯიკეთის, 1972–75 პერმის ოპერისა და ბალეტის თეატრებში მოღვაწეობდა. 1975–77 მღეროდა ქუთაისის ოპერის თეატრში, 1977–91 კი კვლავ თბილისის საოპერო თეატრის სოლისტია. კ-ის რეპერტუარი მრავალფეროვანია. შესრულებული აქვს ტენორის თითქმის ყველა მთავარი პარტია, რ-თაგანაც განსაკუთრებით გამოირჩევა მალხაზი, აბესალომი (ზ. ფალიაშვილის "დაისი", "აბესალომ და ეთერი"), კოტე (ვ. დოლიძის "ქეთო და კოტე"), არზაყანი (ო. თაქთაქიშვილის "მთვარის მოტაცება"), ანჯელო (გ. ყანჩელის "და არს მუსიკა"), ლენსკი, ვოდემონი (პ. ჩაიკოვსკის "ევგენი ონეგინი", "იოლანტა"), ალფრედი, მანრიკო, კასიო (ჯ. ვერდის "ტრავიატა", "ტრუბადური", "ოტელო"), ნადირი (ჟ. ბიზეს "მარგალიტის მაძიებელი"), არლეკინი (რ. ლეონკავალოს "ჯამბაზები"), ფაუსტი (შ. გუნოს "ფაუსტი"), ლოენგრინი (რ. ვაგნერის "ლოენგრინი") და სხვ. 1991-იდან კ. მიიწვიეს პოლონეთში. შეასრულა მთავარი პარტიები ოპერებში: ჟ. ოფენბახის "ჰოფმანის ზღაპრები", ჟ. ბიზეს "კარმენი", ჯ. ვერდის "ნაბუკო" და "მაკბეთი", გ. დონიცეტის "ლუჩია დი ლამერმური", ვ. ა. მოცარტის "ჯადოსნური ფლეიტა", "დონ-ჟუანი" და სხვ. 2013 დაბრუნდა თბილ. ოპერისა და ბალეტის

თეატრში. მოღვაწეობს როგორც ვოკალის პედაგოგ-კონსულტანტი, საოპერო დასის ადმინისტრაციის უფროსი. არის ინტერნაციონალური პრემიის ოქროს მედლის ლაურეატი (რომი, 2003).